„ვამტკიცებ“
საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის
გენერალური მდივანი სოფიო გვეტაძე
„25“ 12 2024 წ.

საქართველოს ჩემპიონატი 20 წლამდე ასაკის ჭაბუკთა და გოგონათა შორის
15 - 24 იანვარი 2025 წ. ქ. თბილისი, ჭადრაკის დედოფლის აკადემია

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

1. ორგანიზატორი:

საქართველოს ჭადრაკის ფედერაცია.

2. ღონისძიების მართვა:

განსაკუთრებულ / გაუთვალისწინებელ შემთხვევებში, რომელიც არ არის განსაზღვრული ამ დებულებით, ტურნირის დირექტორს ფედერაციის პრეზიდენტთან შეთანხმებით აქვს უფლება განახორციელოს ნებისმიერი სახის შესწორება დებულებაში.

3. ჩატარების ვადები და ადგილი:

15.01-24.01. 2025 წ. ქ. თბილისი, ჭადრაკის დედოფლის აკადემია, გიორგი ბრწყინვალის 32.

4. მონაწილენი:

ტურნირში დაიშვებიან 2005 წლის 1 იანვრის შემდეგ დაბადებული საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის წევრი ჭაბუკები და გოგონები.

ყველა მონაწილეს უნდა ჰქონდეს გადახდილი 2025 წლის საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის წლიური საწევრო შესატანი **(დანართი 1)** საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის საბანკო ანგარიშზე (სს "საქართველოს ბანკი" საბანკო ანგარიში: **GE30BG0000000584705115**). ასევე, შევსებული ელექტრონული ფორმა - https://forms.gle/ZGdjH68jACZ7R5v28

სამივლინებო ხარჯებს გაიღებენ მიმავლინებელი ორგანიზაციები.

5. სისტემა და კვალიფიკაცია:

- ტურნირი ტარდება ფიდეს წესებით, შვეიცარიული სისტემით 9 ტურად.
- დაითვლება ფიდეს რეიტინგი.

6. დროის კონტროლი:

ყოველ პარტიაზე თითოეულ მონაწილეს მიეცემა 90 წუთი პარტიის ბოლომდე, ყოველ სვლაზე (პირველი სვლიდან) 30 წამის დამატებით.

7. რეგისტრაცია და ტურნირის საწევრო შესატანი:

7.1. მონაწილეებმა რეგისტრაციისას უნდა შეავსონ ონლაინ სარეგისტრაციო ფორმა - https://forms.gle/Z8e4k2Z1rhayQWgz7 ამავე ფორმაში უნდა ატვირთონ: 1) პირადობის (დაბადების) მოწმობის ასლი; 2) საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის საბანკო ანგარიშზე ტურნირის საწევრო შესატანის (40 ლარი) გადარიცხვის დამადასტურებელი დოკუმენტი.

რეგისტრაციის ბოლო ვადაა 2025 წლის 13 იანვარი 18:00 სათი.

ნატა ალავიძე: ელ-ფოსტა - n.alavidze64@gmail.com მობ: 558 11 86 83

თითოეული მონაწილის ტურნირის საწევრო შესატანია - 40 ლარი.

საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის ტურნირის საწევრო შესატანის საბანკო რეკვიზიტები:
სს "საქართველოს ბანკი" საბანკო ანგარიში: **GE34BG0000000129766701**. ბანკის კოდი BAGAGE22
საბანკო საკომისიო მომსახურეობის თანხას იხდის გადამხდელი პირი.

7.2. სოციალურად დაუცველები და მრავალშვილიანები განთავისუფლებულნი არიან ტურნირის საწევრო შესატანიდან, იმ შემთხვევაში, თუ ისინი რეგისტრაციის დასრულებამდე (13 იანვრის 18.00 საათამდე) წარმოადგენენ შესაბამის დოკუმენტებს.

7.3. დაგვიანებული რეგისტრაციის შემთხვევაში საწევრო შესატანია 80 ლარი.

7.4. რეგისტრაციის ბოლო ვადის დარღვევის შემთხვევაში ორგანიზატორს უფლება აქვს არ დაარეგისტრიროს მოჭადრაკე, რომელმაც დაარღვია რეგისტრაციის ვადები.

8. თაი- ბრეიქი:

ორი ან რამოდენიმე მონაწილის მიერ თანაბარი რაოდენობის ქულების დაგროვების შემთხვევაში ადგილები განაწილდება:

1. ურთიერთშორის შეხვედრა;
2. ბუჰგოლცი-1 (1 უდაბლესის გამოკლებით);
3. ბუჰგოლცი (ყველა მეტოქის ქულათა ჯამი);
4. შავებით ნათამაშები პარტიების მეტი რაოდენობა;
5. მოგებების მეტი რაოდენობით.

9. ტურნირის განრიგი:

ტური	რიცხვი	საათო
ჩამოსვლის დღე	15 იანვარი	
I ტურის კენჭისყრა	15 იანვარი	20:00
გახსნა	16 იანვარი	11:45
I ტური	16 იანვარი	12:00
II ტური	17 იანვარი	12:00
III ტური	18 იანვარი	12:00
IVტური	19 იანვარი	12:00
Vტური	20 იანვარი	12:00
VI ტური	21 იანვარი	12:00
VII ტური	22 იანვარი	12:00
VIII ტური	23 იანვარი	12:00
IX ტური	24 იანვარი	12:00
დახურვა	24 იანვარი	16:00

10. გამარჯვებულები:

- I ადგილზე გასული მოჭადრაკეები დაჯილდოვდებიან თასებით, მედლებით და დიპლომებით.
- II-III ადგილზე გასული მოჭადრაკეები დაჯილდოვდებიან მედლებით და დიპლომებით.
- I ადგილზე გასული მოჭადრაკეები დაფინანსდებიან 20 წლამდე ასაკის მოჭადრაკეთა მსოფლიო ჩემპიონატზე.

11. საერთო წესები:

- ტურის დაწყებიდან 30 წუთზე მეტის დაგვიანების შემთხვევაში მონაწილეს ჩაეთვლება წაგება;
- ნებისმიერ მონაწილეს შესაბამისი პარტიის დასრულებიდან 30 წუთის განმავლობაში უფლება აქვს გაასაჩივროს მსაჯთა კოლეგიის გადაწყვეტილება სააპელაციო კომიტეტში.

მონაწილე ვალდებულია წერილობით პროტესტთან ერთად საქართველოს ჭადრაკის ფედერაციაში გადაიხადოს 100 ლარი, რომელიც პროტესტის დაკმაყოფილების შემთხვევაში უკან დაუბრუნდება.

12. სამართლიანი თამაშის წესების დაცვა:

სამართლიანი თამაშის წესების დაცვა განსაზღვრულია დებულების დანართით.

ტურნირის დირექტორი: საერთაშორისო ორგანიზატორი - დათო კოდუა

მთავარი მსაჯი: საერთაშორისო არბიტრი - სალომე სირაძე